დანართი

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის ანგარიში 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური მუდმივ რეჟიმში ანხორციელებს მონიტორინგს ჩოხატაურის ტერიტორიაზე, რათა დროულად მოხდეს გამოვლენა და სამართლებრივი რეაგირების განხორციელება ყველა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საყურადღებოა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უნებართვო დაკავების ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების განხორციელება.

ზედამხედველობის სამსახურმა 2022 წლის 14 ივნისიდან მოახდინა დაბა ბახმაროში უნებართვოდ მშენებლობების ინვენტარიზაცია და გამოავლინა 936 უნებართვოდ აშენებული და დაურეგისტრირებელი შენობა-ნაგებობა კერძოდ: უსინათლოების მიმდებარე ტერიტორიაზე 65, გურიის ქუჩაზე 58, აჭარის და გურიის ქუჩის მიმდებარედ ცენტრალური აჭარის და ბუქსიეთის ქუჩაზე 133, თხილაიშვილის უბანში 10, გაღმა ბუქსიეთზე 12, გურიის ქუჩაზე სანატორიუმის ზედა მხარეზე 12, ჩოხატაურის ქუჩაზე 27, მშენებლობის ქუჩაზე 80, სატყეოს ქუჩაზე 22, ნამაინევის გორაზე 94 ახალი მშენებლობა და 73 2016 წლამდე დაურეგისტრირებელი შენობა. ვაკიჯვრის ქუჩაზე 35, ვაკიჯვრისა და სატყეოს ქუჩებს შორის 18, ასკანის ქუჩაზე 12 , ინგოროყვას და ბუკნარის ქუჩა 14 და 54 მშენებლობა. უჩხუბის ქუჩაზე 73 უკანონო მშენებლობა და პიონერის ქუჩაზე 126 ბაზრის დაღმართისა და დავითიანის ქუჩებზე 18 უნებართვო მშენებლობის ფაქტი.

2022 წელს გამიოცა სამშენებლო სამართალდარღვევისთვის, დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში 10 ჯარიმა-დემონტაჟი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ ვადების მიხედვით აღსასრულებლად გადაგზავნა აღსრულების ეროვნულ ბიუროს გურია-აჭარის სამსახურს. კანონის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა სააღსრულებლო ფურცლები, რის შედეგადაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დაიწყო სამართლებრივი ღონისძიებების გატარება. დაფიქსირდა პირველი ჯარიმის გადახდა, თანხით 25 000 ლარი რომელიც ჩარიცხული იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

უნებართვოდ აშენებული შენობა-ნაგებობებზე რომელზეც ვერ მოხერხდა მეპატრონის იდენტიფიცირება კანონის შესაბამისად გამოიცა 36 დადგენილება დემონტაჟის შესახებ, რომელიც გადაგზავნილი იქნა შემდგომი რეაგირების მიზნით მუნიციპალიტეტის მერთან.

დაბა ჩოხატაურში გამოიცა 3 ჯარიმა, რომელთაგანაც 2 მოქალაქის მიერ გადახდილი იქნა შესაბამისი საჯარიმო თანხა და ჩარიცხული იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ჩოხატურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოხდა ინიცირება საგზაო უსაფრთხოების მიზნით, ახალი საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების დაყენების შესახებ. ასევე 2 თვის განმავლობაში სამსახური მონიტორინგს ატარებდა აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარევაჭრობის მაქსიმალური აკრძალვის და მათთვის გამოყოფილ ადგილებზე გადაყვანის მიზნით.

2022 წლის მარტსა და აპრილის თვეებში გეგმიური მონიტორინგის შედეგად შემოწმებული იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლები, რომლის დროსაც გამოიკვეთა სასწავლო პროცესისათვის ხელისემშელელი ფაქტორები, რომელიც შემდგომი რეაგირების მიზნით, მოხსენებითი ბარათის სახით, გადაგზავნილი იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერთან. პრობლემების ნაწილი გათვალისწინებული იქნა და დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს პრობლემის აღმოფხვრა (მაგ: ჯვარცხმის საჯარო სკოლის სახურავის პრობლემა).

ამავე წელს მარტსა და აპრილში შემოწმებული იქნა საბავშო-ბაღები, უსაფრთხოების წესების და სასწავლო პროცესის ხელშემშლელი ფაქტორების გამოსავლენად. რიგი საკითხებზე მოხსენებითი ბარათის სახით ინფორმაცია მიწოდებული იქნა მუნიციპალიტეტის მერისათვის. ამავე წლის ბოლოს იგეგმება განხორციელდეს სკოლებსა და საბავშო-ბაღების შემოწმება გამოსწორებული და აღმოფხვრილი პრობლემერბის დარეგულირების მიზნით. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დროს გამოკვეთილი პრობლემების შედეგად მოსახლეობას შუამდგომლობას ვუწევთ ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროსა და საგზაო დეპარტამენტთან, რომლის შედეგადაც მოგვარებული იქნა არაერთი პრობლემა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის (მაგ: ფარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში, დაბის ტერიტორიაზე, პირველი საჯარო სკოლის და კლინიკა მედალფას მიმდებარე ტერიტორიაზე).

მაქსიმალურად მიმდინარეობს მონიტორინგი დაბა ჩოხატაურსა და დაბა ბახმაროს ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობებზე, რომლის დროსაც გამოიკვეთა სანებართვო პირობების დარღვევის 5 ფაქტი, რომელიც საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად შეჩერებული იქნა და მიმდინარებს პროცესი არსებული პრობლემების გამოსწორების მიზნით.

მერიაში შემოტანილი განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილ იქნა სამეზობლო დავის საკითხები, ენერგო-პრო ჯორჯიას მომართვის საფუძველზე განხილული იქნა სოფელ ნაბეღლავსა და ერკეთში მთავარი ელექტრო გადამცემი ხაზის საკითხი, კონტროლს უწევთ არ მოხდეს იერსახის თვითნებური

შეცვლა, გაიცა მითითებები იერსახის დამახინჯების და მათი გამოსწორების მიზნით, გარე რეკლამის განთავსება, დასუფთავებაზე ზედამხედველობა. მუდმივად ვანხორციელებთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონიტორინგს.

2022 წლის მონაცემებით გარემოსდაცვის მიმართულებით, გამოვლენილი იქნა დაბა ბახმაროში გურიის ქუჩაზე, ნაყოფიერი ფენის მოხსნის ფაქტები, რომელზეც შემდგომი რეაგირების მიზნით მოთხოვნა გადაგზავნილია იქნა გარემოს დაცვის დეპარტამენში. გაიცა ნებართვები ბრძანების სახით დაზიანებული და საფრთხისშემცველი ავარიული ხემცენარეების ლიკვიდაციის მიზნით (19 აქტი).

სამსახურის თანამშრომლები მაქსიმალურად არიან ჩართულები მერიის მუდმივმოქმედ კომისიებში.

სამსახურის გამართული ფუნქციონირების მიზნით, მუშავდება სამსახურის მიზნები და ამ მიზნის შესრულებასთან დაკავშირებული რისკების ანალიზი, ასევე კონტროლის მექანიზმი, რომელიც გააუმჯობესებს სამსახურის ქმედითუნარიანობას.

რაც შეეხება 2020-2022 წლის მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილ სამართალდარღვევებს, დღეის მდგომარეობით გამოვლენილი და არღიცხულია 936 სამართალდარღვევის ფაქტი. აქედან იდენტიფიცირებულია 154 მოქალაქე, 37-ზე გამოიცა დადგენილება დაჯარიმების შესახებ. ამათაგან 32 გადაგზავნილია სსიპ აღსრულების ეროვნიულ ბიუროში.(გამოვლენილი და იდენტიფიცირებული სამართალდამრღვევებიდან ზედამხედველობის სამსახური ვერ ადგენს არიან თუ არა პიროვნებები საჯარო სამსახურიში დასაქმებულები.) აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან ერთი მოქალაქის მიერ გასაჩივრებულ იქნა შესაბამის რაიონულ სასამართლოში, რომლებიც ითხოვდნენ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას იმ მოტივით, რომ მათ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე წლეების განმავლობაში განთავსებული ქონდა აღნიშნული შენობა-ნაგებობა. 2021 წელს მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული იქნა დაუდგენელი პირების მიერ განხორციელებული უნებართვო მშენებლობის ფაქტებზე დემონტაჟის 400 დადგენილება. 2022 წლის მონაცემებით გამოცემული იქნა 35 დადგენილება დემონტაჟის შესახებ.

2020 წლის ივნისის თვეში, დაბა ბახმაროს მიმდებარედ მზის ჩასავლ გორაზე გამოვლენილი იქნა სახელმწიფო მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავების ფაქტი, რომელზეც შედგა ადმინისტრაციული სამარტალდარღვევათა ოქმი, რომელიც გადაიგზავნა რაიონულ სასამართლოში, სასამართლომ სცნო სამართალდამრღვევად და დააკისრა უნებართვო შემოღობვის დემონტაჟი. ზედამხედველობის სამსახური არაერთი მოთხოვნის მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

დღეის მდგომარეობით განახლადა საქმისწარმოება და კანონის ვადებში ხელმეორედ იქნება აქტი შედგენილი და გადაიგზავნება შესაბამის რაიონულ სასამართლოში.